„დინამო“ (მოსკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 18 ივნისი.

მოსკოვი: უვაროვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, მოროზოვი, დემიდოვი (კარატაევი, 46), ვასილიევი (სკლიაროვი, 54), კოლივანოვი, დობროვოლსკი, ბოლოდიუკი.

თბილისი: გაბელია, ცვეიბა, ცივაძე, ჭედია, კუდინოვი, გოგრიჭიანი, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია (შენგელია, 55), კორღალიძე, ქეცბაია (ფანცულაია, 67).

მსაჯი რ. იუშკა (ვილნიუსი).

გააფრთხილეს კორღალიძე.

დუბლიორები - 4:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცაავამ.

თანაკლუბელებმა სულ ახლახან ითამაშეს თბილისში და ოთხი დღის შემდეგ მოსკოვში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ის შემთხვევაა, როცა ჯერ კიდევ პირველი წრე არ დამთავრებულა. გუნდებს კი მეორე წრის „ანგარიშის“ გასწორება უხდებათ ერთმანეთთან.

ასეა თუ ისე, ამ გუნდების შეხვედრები ერთმანეთთან ყოველთვის საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ ჩვენ, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს საგანგებო მოვლენად მიგვაჩნია გამარჯვება მეტოქის მინდორზე. გამარჯვება იმ გუნდთან, რომელიც წლების მანძილზე ტრადიციულად ჩვენი ყველაზე საშიში და მრისხანე მეტოქეა. რა თქმა უნდა, დინამოელთა ქომაგების , ალბათ, ახალ წარუმატებლობას ელოდა, მაგრამ ჩვენმა გუნდმა ამ მატჩში ნამდვილი საბრძოლო განწყობილება მოიპოვა, რომელიც ესოდენ საჭიროა სადღეისოდ შექმნილ რთულ ვითარებაში. შორს წასული დასკვნებისგან თავს შევიკავებთ, ვინაიდან დინამოელებს მთავარი მოვლენები წინა აქვთ, მაგრამ ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 18 ივნისს საბრძოლო თვისებებითაც, ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებითაც ისინი მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. გამარჯვება ისეთ მეტოქესთან, როგორიც მოსკოვის „დინამოა“, თავისთავად არ მოდის, თბილისელებმა ეს ორი ქულა ღირსეულად მოიპოვეს.

მოსკოველები პირველ ტაიმში ბევრს ეცადნენ თავს მოეხვიათ მეტოქისთვის საკუთარი თამაში და იმთავითვე მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ სტუმრებმა ორგანიზებულად, აზრიანად ითამაშეს და შეინარჩუნეს კარის უხიფათობა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა გარკვეული კორექტივები შეიტანეს თავიანთ თამაშში. მინდორზე გამოსულმა შენგელიამ სიმწვავე შემატა შეტევებს, მოსკოველთა კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. 66-ე წუთზე ჭედია სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე, კარგად ჩააწოდა ცენტრში და კორღალიძემ თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში - 1:0.

დარჩენილ დროში მოსკოველბს ცდა არ დაუკლიათ თავი ეხსნათ დამარცხებისგან, მაგრამ ეს ვერ შეძლეს და თბილისის „დინამომ“ შეინარჩუნა გამარჯვება და მეტად საჭირო ორი ქულა ჩაიწერა თავის აქტივში.

“ლელო”, 20.06.1987

დუბლიორთა მატჩი

გუშინწინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გამართული XX ტურის გამოტოვებული მატჩი თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ დუბლიორ ფეხბურთელთ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1, თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ფანცულაიამ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: ბაბუაძე, ფირცხალავა, თეთრაძე, მალანია, ჩხაიძე (წიკლაური), რევიშვილი, გუბაზი, ქეცბაია (ჯიშკარიანი), ფანცულაია, აჯოევი (ნეფარიძე), მიქაშავიძე.